



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 აპრილი 2026



N 243/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში შპს „კავკასუს რისაიქლინგი“-ს

99,6 ტონა არასახიფათო ნარჩენის (ქალაქის და მუყაოს ნარჩენები) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „კავკასუს რისაიქლინგი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (10 ტონიდან 100 ტონამდე არასახიფათო ნარჩენის აღდგენა/განთავსება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არასახიფათო ნარჩენების (ქალაქი და მუყაო) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალუბანში, შპს „კავკასუს რისაიქლინგი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.24.10.005; ფართობი: 5661 მ²) არსებულ შენობაში. მითითებული შენობიდან 1355,25 მ² ფართობის ტერიტორიაზე განთავსდება საწარმოო დანადგარ-მოწყობილობები, ხოლო 360 მ² ფართობის ტერიტორიაზე – ნარჩენების და სხვა დამხმარე საშუალებების საწყობები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 72.03.35.088) საწარმოსთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 275 მეტრში მდებარეობს. საწარმოს ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ობიექტები, მათ შორის, შპს „უნიბოქსი“-ს მუყაოს ყუთების საწარმო და შპს „ბლანკო“-ს საყოფაცხოვრებო მოხმარების საშუალებების (ქალაქის ნაწარმი) საწარმო.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო საწარმოში განთავსდება C.T.M108 ტიპის ნარჩენების გადამამუშავების/აღდგენის ერთი ტექნოლოგიური ხაზი (მაქსიმალური წარმადობა 83 კგ/სთ), რომელიც აღჭურვილი იქნება შემდეგი დანადგარებით: ჰიდროპულპერი ვიბრაციული გამცრელი; ვიბრაციული გამცრელის რეზერვუარი; წყლის რეზერვუარი; 2 ერთეული პულპერის რეზერვუარი; წყლის ცირკულაციის რეზერვუარი; სუფთა წყლის რეზერვუარი; როტაციული ფორმირების მანქანა; პროდუქციის საშრობი; ბუნებრივი აირის სანთურა; საკომპრესორო; ნარეცხი წყლის სალექარი; სეპტიკური რეზერვუარი; ნარჩენების დროებითი დასაწყობების სათავსი. საპროექტო საწარმო წელიწადში 150 დღე, დღეში 8 საათი იმუშავებს და წელიწადში 99,6 ტონა ქალაქის და მუყაოს ნარჩენის გადამამუშავებას/აღდგენას უზრუნველყოფს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად, საპროექტო საწარმოში გადამამუშავებას/აღდგენას დაქვემდებარებული ქალაქისა და მუყაოს ნარჩენები კლასიფიცირდება 20 01 01 და 15 01 01 ნარჩენების კოდებით. აღნიშნული

ნარჩენების გადამუშავების/აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი დაიწყება ნარჩენების სასაწყობო სათავსიდან, სადაც მოხდება ნარჩენების მიღება და დასაწყობება. პლასტმასის ჩანართების, წებოვანი ლენტების და სხვა უცხო მინარევების მოცილების მიზნით, საწყის ეტაპზე გათვალისწინებულია ნარჩენების ხელით გადარჩევა, ხოლო შემდგომ – დაახლოებით 20-40 მმ ფრაქციამდე დაქუცმაცება. დაქუცმაცებული ნედლეული განთავსდება ჰიდროპულპერში, სადაც დაემატება წყალი დაახლოებით 1:15 თანაფარდობით (ბოჭკო-წყალი). მექანიკური შერევის შედეგად ბოჭკოვანი მასა დაიშლება და 3-5%-იანი კონსისტენციის ერთგვაროვანი პულპის სუსპენზია მიღება. მიღებული პულპის სუსპენზია გაივლის ფილტრაციისა და წმენდის პროცესს, ვიბრაციული ან წნევითი საცერის გამოყენებით, რა დროსაც მოხდება ქვიშის, მავთულის, პლასტმასის და სხვა მცირე ზომის მინარევების მოცილება. გაწმენდილი პულპის სუსპენზია განთავსდება შუალედურ რეზერვუარში, სადაც მოხდება მისი შენახვა და კონდიცირება მუდმივი მორევის პირობებში. პროდუქციის სიმტკიცის გასაზრდელად გამოყენებული იქნება სახამებელი. ტექნოლოგიური პროცესის შემდგომ ეტაპზე როტაციული ფორმირების მანქანის საშუალებით ნედლეული ფორმირდება და ზედმეტი წყალი მოცილდება. მიღებული სველი ფორმა გადავა პრეს-ფორმაზე, სადაც მექანიკურად დაიპრესება. მსუბუქი წნევის ზემოქმედებით გაუმჯობესდება ფორმის სიზუსტე და მექანიკური სიმტკიცე, ასევე ნაწილობრივ შემცირდება ტენიანობა. შემდგომ ეტაპზე დაიწყება გამოშრობის პროცესი, რისთვისაც გამოყენებული იქნება ცხელი ჰაერის საშრობი. შრობა განხორციელდება 180-220°C ტემპერატურის დიაპაზონში, ბუნებრივი აირის გამოყენებით. ყუთებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქციის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია დამატებითი ცხელი პრესის გამოყენება. ბოლო ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, კიდეების მექანიკური დამუშავება განხორციელდება. მიღებული პროდუქცია შეიკვრება ავტომატური შემფუთავი მოწყობილობის საშუალებით (მაგ. 100 ცალი ერთ შეკვრაში) და შესაბამის საწყობში განთავსდება. საპროექტო საწარმოში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა წელიწადში 99,6 ტონა იქნება. დაგეგმილი საქმიანობა შეესაბამება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ პირველი და მეორე დანართებით განსაზღვრულ R3, R12 და R13 ოპერაციის კოდექსს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო საწარმოს წყალმომარაგება უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ჭაბურღილის მოწყობა, საიდანაც შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების წყლის აღება მოხდება. ვინაიდან ნარჩენების გადამუშავების/აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი სველი წესით განხორციელდება, საწარმოო დანიშნულებით საჭირო იქნება საათში 2,5 მ³ (წელიწადში 3000 მ³) წყლის გამოყენება. საწარმოში დაგეგმილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და გამოყენებული წყალი კვლავ ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნდება. საწარმოო დანიშნულების წყლის დანაკარგს ადგილი ექნება მხოლოდ ნარჩენების დასველების და მზა პროდუქციის შრობის პროცესში, რაც გამოყენებული წყლის 15%-ს შეადგენს. შესაბამისად, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში საჭირო იქნება საათში 0,375 მ³ წყლის დამატება (წელიწადში 450 მ³). საპროექტო საწარმოში წყლის გამოყენება ასევე საჭირო იქნება საწარმოო შენობის და ტექნოლოგიური დანადგარების რეცხვა-დასუფთავებისთვის და ხანძარსაწინააღმდეგოდ. რეცხვა-დასუფთავებისთვის გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში 165 მ³ იქნება, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგოდ წლის განმავლობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 60-65 მ³ წყალი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გათვალისწინებით, საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოო ჩამდინარე წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება. საპროექტო საწარმოში ჩამდინარე წყალი წარმოიქმნება საწარმოო შენობისა და ტექნოლოგიური დანადგარების რეცხვის პროცესში, რომლის რაოდენობა იანგარიშება გამოყენებული წყლის 20%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით (ზედაპირების დასველება, აორთქლება). შესაბამისად, ჩამდინარე წყლის მაქსიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში 132 მ³ იქნება. ნარეცხი წყალი დაბინძურებული იქნება მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით და მექანიკური გაწმენდის მიზნით ჩაშვებული იქნება 14 მ³ მოცულობის ორსექციან სალექარში, საიდანაც გაწმენდის შემდგომ კვლავ ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნდება. საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვისთვის გამოყენებული იქნება 10 მ³ ტევადობის ჰერმეტიკული სექტიკური რეზერვუარი, რომლის განტვირთვა, საჭიროებისამებრ, შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, აზოტის დიოქსიდისა და ნახშირბადის ოქსიდის წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ჩატარებული გაზნევის გაანგარიშების შედეგებით, საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და 500-მეტრიანი ზონის საზღვარზე ნორმატიულ მნიშვნელობებს არ აღემატება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხმაურის წარმოქმნის ძირითადი წყარო იქნება ნარჩენების გადამუშავების/აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის შემადგენელი დანადგარ-მოწყობილობები და კომპრესორი. დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომლის თანახმად, უახლოეს მოსახლესთან მიღებული ხმაურის დონე 47 დბა-ს შეადგენს. ამასთან, ვინაიდან ნარჩენების გადამუშავების/აღდგენის ტექნოლოგიური ხაზი და კომპრესორი დახურულ შენობაში განთავსდება, რაც ფიზიკურ ბარიერს ქმნის და ხმაურის გარემოში პირდაპირ გავრცელებას ამცირებს, ხმაურის დონე დაახლოებით 20 დბა-ით შემცირდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხმაურის წარმომქმნელ და მიმღებ წყაროებს შორის არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები, დამატებით შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 27 დბა-ზე მაღალი არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია სხვადასხვა არასახიფათო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა მართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში, მომზადდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც სააგენტოსთან შეთანხმდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედების რისკებიდან შეიძლება განვიხილოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედება. ჩატარებული გაანგარიშებების და პროგრამული მოდელირების მიხედვით, საკუთრივ საპროექტო საწარმოს ექსპლუატაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ უკავშირდება. რაც შეეხება საწარმოს უშუალო სიახლოვეს მდებარე შპს „უნიბოქსი“-ს მუყაოს ყუთების საწარმოსა და შპს „ბლანკო“-ს საყოფაცხოვრებო მოხმარების საშუალებების (ქაღალდის ნაწარმი) საწარმოს, ატმოსფერული ჰაერის სტაციონარული წყაროებიდან აღნიშნულ საწარმოებს მხოლოდ ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემების დანადგარები გააჩნია. აღნიშნულისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედების რისკი მინიმალურია. ანალოგიური შეიძლება ითქვას აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც, რადგან როგორც საპროექტო, ისე მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული საწარმოები ხმაურის გავრცელების მაღალი დონით არ ხასიათდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნარჩენების გადამუშავება/აღდგენა დაგეგმილია ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე არსებულ დახურულ შენობაში.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში შპს „კავკასუს რისაიქლინგი“-ს 99,6 ტონა არასახიფათო ნარჩენის (ქალაქის და მუყაოს ნარჩენები) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გზშ-ს.
2. შპს „კავკასუს რისაიქლინგი“ ვალდებულია, „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილების შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი საქმიანობის რეგისტრაცია.
3. შპს „კავკასუს რისაიქლინგი“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კავკასუს რისაიქლინგი“-ს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კავკასუს რისაიქლინგი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/243-21-4-202604161527>

